საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1729/01
23/02/2022

1729-01-2-202202231048

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის პირველი თებერვლის №22/351 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში წელიწადში 250 000 m^3 მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების ხანგრძლივობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გაცნობებთ, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიმდინარე წლის 10 თებერვლის №16-01220412979 წერილის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული ძირითადი ზონირების რუკის მიხედვით, ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), ასევე, თბილისის გამწვანების თემატური რუკით სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ით განსაზღვრული ფუნქციური ზონირება (იხ. დანართი).

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, **რზ-1 წარმოადგენს სარეკრეაციო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: ბაღი,ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა მსგავსი, გარდა სხვა სარეკრეაციო ზონებში მოქცეულისა; რზ-1- ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკებისა. ასევე, დასაშვებია ტრანსპორტის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა**.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის გადაწყვეტილების წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ელ ვერსია.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე